პატივცემულო კოლეგებო,

მოგახსენებთ, რომ ორშაბათს, 5 ნოემბერს, 15:00 საათზე ტემპუსის ეროვნული ოფისი მართავს ტრენინგს „ტემპუსის საგრანტო განაცხადის მომზადების“ შესახებ.
ტრენინგს მასპინძლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
მისამართი: ადმინისტრაციული კორპუსი (კოსტავა #77)
მე3 სართული , გ. ნიკოლაძის სახელობის სააქტო დარბაზი.

ტრენინგი მიეძღვნება შემდეგ საკითხებს:

- საგრანტო კონკურსის პირობები
- საქართველოს ეროვნული და რეგიონული პრიორიტეტები
- როგორ მოვიძიოთ პარტნიორები
- როგორ შევქმნათ კონსორციუმი
- როგორ შევავსოთ აპლიკაცია
- როგორ გავწეროთ ბიუჯეტი
- რა საბუთებია საჭირო

ტრენინგის სამიზნე ჯგუფი: ტემპუსის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები. მათთვის, ვისაც მსგავსი ტრენინგი შარშან უკვე გავლილი აქვთ, ალბათ ახალი ბევრი არაფერი იქნება.

ტრენინგის ხანგრძლივობა: მაქსიმუმ 2,5 საათი.

გთხოვთ გაავრცელოთ ეს ინფორმაცია თქვენ უმაღლეს სასწავლებლებში დაინტერესებულ პირებთან.

საჭიროების შემთხვევაში ტრენინგს გავიმეორებთ დეკემბრის დასაწყისში. ცხადია, ინდივიდუალური კონსულტაციები კვლავინდებურად ძალაშია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ოფიციალური საინფორმაციო ღონისძიება ტემპუსის ახალი საგრანტო კონკურსის შესახებ ჩატარდება 12 ნოემბერს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (I კორპუსი, აუდიტორია 06), რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ტემპუსის აღმასრულებელი სააგენტოს დირექტორი ბატონი კლაუს ჰაუპტი. საინფორმაციო ღონისძების ჩატარების დაზუსტებულ დროს მოგვიანებით მოგაწვდით.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ და დაადასტუროთ 5 ნოემბრის ტრენინგში მონაწილეობა.

პატივისცემით

ლიკა ღლონტი

Dr. Lika Glonti
National Tempus Office Georgia
5 Otar Tchkeidze Street
Tbilisi 0186 Georgia
Phone: (+995 32) 214-7139
Phone/Fax: (+995 32) 242-0030
lglonti@geo.net.ge
www.tempus.ge